საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2728 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (შემდგომში – კომპანია), ამავე კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტში ამორტიზებული $V=2x800м^3$ რეზერვუარების ნაცვლად ახალი რეზერვუარების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში.

2. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძიება და კომპანიისათვის გადარიცხვა მისი კაპიტალის გაზრდის მიზნით.

3. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების მე-2 პუნქტის საფუძველზე გადარიცხული თანხის ხარჯვის თაობაზე ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**